საიდ. №67550/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 123-03/13

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ი. გიქორაშვილი (თავმჯდომარე), დ. ჭიჭინაძე, მ. ბაკურაძე, ქ. კილაძის მდივნობით განიხილა ირაკლი ქირიას სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 29 მარტის №423/03 ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „GIORGOBA" (საიდ. №67550/03) უარი ეთქვა რეგისტრაციაზე. აღნიშნულ ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან სიტყვა „GIORGOBA" ქართულად იკითხება როგორც „გიორგობა". გიორგობა არის ქრისტიანული წმინდანის გიორგი კაბადოკიელის სახელობის დღესასაწაული. განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება 33-ე კლასის საქონლის ჩამონათვლის მიმართ, რაც მოიცავს ალკოჰოლურ სასმელებს. აღნიშნულის შესაბამისად მისი სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია ეწინააღმდეგება რელიგიას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის თანახმად განცხადებულ სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

ირაკლი ქირიას წარმომადგენელი ნიკოლოზ გოგილიძე მოითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 29 მარტის №423/03 ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის „GIORGOBA" (საიდ. №67550/03) დარეგისტრირებას განცხადებული საქონლის ჩამონათვლის მიმართ. აპელანტის აზრით, აღნიშნული სასაქონლო ნიშანი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ქრისტიანული რელიგიის შეურაცმყოფელი დასახელება, ვინაიდან ალკოჰოლიანი სასმელი, კერძოდ, ღვინო, რომლისთვისაც მოითხოვება ნიშნის დაცვა, წარმოადგენს ქრისტიანული რელიგიის უმნიშვნელოვანესი რიტუალის, ზიარების, ძირითად ატრიბუტს და ამ საქონლისათვის დასახელების „GIORGOBA" დარეგისტრირება არანაირად არ შეურაცყოფს ქრისტიანული აღმსარებლობის ადამიანების რელიგიურ გრძნობებს.

აპელანტს მაგალითისათვის მოჰყავს ისეთი რელიგიასთან მჭიდრო კავშირის მქონე დასახელებები, როგორიცაა „ხარება", „ბედია", რომლებიც საქპატენტმა დაარეგისტრირა, როგორც სასაქონლო ნიშნები. აპელანტი ითხოვს, მხედველობაში იქნეს მიღებული ზემოთ აღნიშნული გარემოებები და სასაქონლო ნიშანი „GIORGOBA" დარეგისტრირდეს განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვლისათვის.

სააპელაციო საჩივრის ზეპირი მოსმენისას აპელანტის წარმომადგენელმა წარმოადგინა საქართველოს საპატრიარქოს მიერ გაცემული წერილი. აღნიშნულ წერილში საპატრიარქო თანხმობას აცხადებს, რომ აღნიშვნა „GIORGOBA" განცხადებულ სასაქონლო ნიშანში შევიდეს დაუცველი ნაწილის სახით.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 29 მარტის №423/03 ბრძანება, იმ ნაწილში, რომლითაც განცხადებულ ნიშანს უარი ეთქვა 33-ე კლასის განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვლის მიმართ რეგისტრაციაზე.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ

რეგისტრირდება, თუ იგი „შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებს, რელიგიასა და ტრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს".

განცხადებული სასაქონლო ნიშანი „გიორგობა" წარმოადგენს კომბინირებულ სასაქონლო ნიშანს და გამოსახულებითი ელემენტების გარდა შეიცავს გამოსახულებას. იგი წარმოადგენს ეტიკეტის გამოსახულებას, რომელზეც ყვითელ ფერში გამოსახულია ქვევრი და ასევე ყვითელ ფერში ლათინურად შესრულებულია სიტყვიერი ნაწილი „Giorgoba". ეტიკეტს ასევე ზოლად გასდევს სტილიზებულად შესრულებული ერთმანეთზე გადაბმული ქვევრის გამოსახულებები.

რაც შეეხება უშუალოდ სიტყვიერ აღნიშვნას „გიორგობა" კოლეგია ნაწილობრივ დაეთანხმა ექსპერტიზის გადაწყვეტილებას და მიიჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი უნდა დარეგისტრირდეს 33-ე კლასის შეზღუდული საქონლის ჩამონათვლის „ღვინის" მიმართ და არა სრული ჩამონათვლის „ალკოჰოლური სასმელები"-ს მიმართ. კოლეგია მიიჩნევს, რომ განცხადბეული ნიშნის 33-ე კლასის შეზღუდული ჩამონათვლის „ღვინო" მიმართ რეგისტრაციის შემთხვევაში განცხადებული ნიშანი არ უნდა იქნეს მიჩნეული რელიგიის შეურაცმყოფელ სასაქონლო ნიშნად.

ამასთან, კოლეგია ყურადღებას ამახვილებს საქართველოს საპატრიარქოს მიერ გაცემულ წერილზე, სადაც აღნიშნულია, რომ საპატრიარქო არ არის წინააღმდეგი, რომ ფიზიკური პირის ირაკლი ქირიას განცხადებულ სასაქონლო ნიშანში გამოყენებულ იქნას სიტყვიერი აღნიშვნა „გიორგობა" და იგი ნიშანში შევიდეს დაუცველი ნაწილის სახით.

კოლეგია თვლის, რომ განცხადებული ნიშანი „GIORGOBA" უნდა დარეგისტრირდეს მთლიანობაში, ხოლო სიტყვიერი აღნიშვნა „GIORGOBA" ნიშანში უნდა შევიდეს დაუცველი ნაწილის სახით, დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვის მინიჭების გარეშე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კოლეგია მიიჩნევს, რომ ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 29 მარტის №423/03 ბრძანება, იმ ნაწილში, რომლითაც განცხადებულ ნიშანს უარი ეთქვა 33-ე კლასის განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვლის მიმართ რეგისტრაციაზე და განცხადებული ნიშანი „GIORGOBA" უნდა დარეგისტრირდეს 33-ე კლასის შემდეგი საქონლის ჩამონათვლის მიმართ „ღვინო". აღნიშვნა „GIORGOBA"

ნიშანში შევიდეს დაუცველი ნაწილის სახით.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ გაითვალისწინა ზემოაღნიშნული გარემოებანი და იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ბ” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ირაკლი ქირიას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 29 მარტის №423/03 ბრძანება, იმ ნაწილში, რომლითაც განცხადებულ ნიშანს უარი ეთქვა 33-ე კლასის განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვლის მიმართ რეგისტრაციაზე.
3. განცხადებული სასაქონლო ნიშანი „GIORGOBA” (საიდ. №67550/03) დარეგისტრირდეს 33-ე კლასის შეზღუდული საქონლის ჩამონათვლის მიმართ: „ღვინო”. აღნიშვნა „GIORGOBA” –ს არ მიენიჭოს დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვა და ნიშანში შევიდეს დაუცველი ნაწილის სახით.
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში. (მის.: მცხეთა, სამხედროს ქ. №17).

კოლეგიის თავმჯდომარე:	ი. გიქორაშვილი
წევრები:	დ. ჭიჭინაძე
	მ. ბაკურაძე